ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №225622

ნომერი: AR157171

თარიღი : 08.06.2012

გაცემის თარიღი : 29.06.2012

გაცნობის თარიღი : 02.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 2 , (ყოფ. კეცხოველის ქ. N8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ჩხეტიანი პ/ნ 01015000529
- თბილისი კრძანისის 16 კორპ 8

ორგანიზაცია:
- შპს ლიზინგი ოცდამეერთე კოდი: 204929532

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.12 წლის №201102 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06/08/2012 წ. №AR157171 განცხადებით მომართა დავით ჩხეტიანმა და მოითხოვა სამსახურის 06.06.12 წლის №201102 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ: 2014 წლის 31 იანვრის ნაცვლად 2014 წლის 31 დეკემბრის მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გრემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №2-ში „ლიზინგი XXI“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო №201102 ბრძანებით გაცემულ იქნა ახალი მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული აქტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადა განისაზღვრა 2012 წლის პირველი ივლისიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით. თუმცა, დამკვთის მიერ წარმოდგენილი მშენებლობის ნებართვის ორგანიზაციის გრაფიკის თანახმა, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ბოლო თარიღი მითითებულია – 31 მე-12 თვე. ცხადია, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადის განსაზღვრისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა 06.06.12 წლის №201102 ბრძანებაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.12 წლის №201102 ბრძანებაში, კერძოდ: სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადა განისაზღვროს 2012 წლის პირველი ივლისიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.12 წლის №201102 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.